

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე პ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„---11---“-----05-----“ 2016 წელი

ეგზ. № 2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის
2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N26/36

2016 წელი

სარჩევი

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	3
შესავალი ნაწილი.....	6
აუდიტის მასშტაბი.....	6
აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა.....	7
1.სამგორის რაიონის მიერ განხორციელებული შესყიდვები	9
2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში	10
3. სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	16
4. აფიდავიტის მოთხოვნების დარღვევის რისკი.....	20
5. გადახდილი დღგ	21
6. სოციალური დახმარების პროგრამა	21
7. ავტომატები და საწვავის ხარჯი.....	25
8. ტელევიზორებისა და დიზაინერის მომსახურების შესყიდვა.....	26
9. აღურიცხავი აქტივები	26
10. საშტატო რიცხოვნობა და შრომის ანაზღაურება.....	27
11. დოკუმენტაციის ბუღალტრულ მონაცემებში ასახვა-აკინძვა	27

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

- 2013-2015 წლებში სამგორის რაიონში განხორციელებული 95 გამარტივებული ელექტრონული ტენდერიდან, 51 ტენდერი (54%) ჩატარდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით, კერძოდ, 2013 წელს - 27, 2014 წელს - 14 და 2015 წლის პირველ ნახევარში - 10 შემთხვევაში. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ ერთ სამუშაო დღეს, დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან. გამგეობა ძირითადად იყენებს კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ვადებს. აღნიშნული შესაძლოა იყოს დაბალი კონკურენციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი. (გვ. 10)
- სამგორის გამგეობაში 2013-2014 წლებსა და 2015 წლის პირველ ნახევარში შესყიდვების კანონმდებლობისაგან განსხვავებული ფორმით, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგოების განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები, საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით დაფინანსდა 11 551.1 ათასი ლარით. (გვ. 10)
- ამხანაგოების ხელშეწყობის პროგრამით, 320 სამეწარმეო სუბიექტის მიერ განხორციელდა 1479 პროექტი. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, 320-დან 74 მიმწოდებელი, როგორც მეწარმე სუბიექტი, დარეგისტრირებულია სამუშაოს შესრულების შესახებ დადგენილების მიღებამდე 3 თვის პერიოდში. ახლადშექმნილ 74 სამეწარმეო სუბიექტთან გაფორმებულია 280 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 3 815.9 ათასი ლარი, რაც პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის 33%-ს შეადგენს. (გვ.11)
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ხარჯთაღრიცხვას და სამუშაოების შესრულებას ამოწმებდა შემსრულებლის მიერ შერჩეული ექსპერტი. უმეტეს შემთხვევაში ექსპერტი აზომვებს ატარებდა ხილულ სამუშაოებზე, ხოლო დანარჩენ სამუშაოებს ადასტურებდა შესრულებული სამუშაოების აქტსა და ხარჯთაღრიცხვაზე დაყრდნობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ დოკუმენტაციაში დაფიქსირებული სამუშაოები შესაბამისი მოცულობითა და ხარისხით არ არის შესრულებული. (გვ. 13)
- საკრებულოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით, 2013 წლის 21 ნოემბრიდან ამხანაგობის თავმჯდომარეებს გამგეობაში უნდა წარმოედგინათ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგოების განვითარების ხელშეწყობის აღრიცხვის ბარათი. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, გამგეობა იღებდა გადაწყვეტილებას წახალისებასთან დაკავშირებით. 2013-2014 წლებში აღნიშნული წესის დარღვევით წახალისდა 862 პირი. შედეგად, გამგეობის მიერ წახალისების სახით გაცემული 751.1 ათასი ლარიდან დაუსაბუთებლად გაცემულია 323.2 ათასი ლარი. (გვ. 14)

- შესყიდვების კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელდა წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 6 566.4 ათასი ლარი. სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით - 112.8 ათასი ლარი, შედგენილია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯთაღრიცხვის შემდგენელი და სამუშაოების შემსრულებელი ერთი და იგივე პირია, შესრულებულია 320.6 ათასი ლარის ისეთი სამუშაოები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვით. (გვ. 17)
- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ ანგარიშსწორება ნაწარმოებია მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერდნენ შემსრულებლის წარმომადგენელი და ამხანაგობის თავმჯდომარე. ამხანაგობა „დიდი ლილოს“ თავმჯდომარის წერილობითი განმარტებით, 2014 წლის 20 მაისს გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტზე (სამუშაოების ღირებულება - 538.1 ათასი ლარი) მისი სახელით დაფიქსირებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნის და მისთვის უცნობია ხელმოწერის ვინაობა. (გვ. 18)
- აუდიტის ჯგუფის მიერ წყალმომარაგების ქსელის ხილული ნაწილის ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლინდა სხვადასხვა შეუსრულებელი სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 20.2 ათასი ლარი. (გვ. 18)
- წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებზე ზედამხედველობას აწარმოებდა შემსრულებლის მიერ შერჩეული კომპანია შპს IGPN, ღირებულებით - 42.7 ათასი ლარი. ხელშეკრულების თანახმად, ზედამხედველ კომპანიას ევალებოდა, საექსპერტო დასკვნით დაედასტურებინა შესრულებული სამუშაოს აქტის სისწორე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით ირკვევა, რომ საექსპერტო დასკვნები არ არის შედგენილი, ხოლო შესრულებული სამუშაოების აქტების სისწორე დადასტურებულია კომპანიის ბეჭდითა და წარმომადგენლის ხელმოწერით. (გვ. 18)
- წყლის სისტემების მოწყობის დასრულებულ სამუშაოებს 2015 წელს ჩაუტარდა საექსპერტო გამოკვლევა. დასკვნის მიხედვით, წყლის სისტემის მოწყობაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 4 312.4 ათას ლარს, ანუ ანაზღაურებულ თანხასთან შედარებით 2 254.0 ათასი ლარით ნაკლები. (გვ. 19)
- 2013-2014 წლებში, ერთეულ შემთხვევებში გამოიკვეთა რისკი, რომ პრეტენდენტები მეტი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, სავარაუდოდ, მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით. კერძოდ, გამარჯვებულმა კომპანიებმა უარი განაცხადეს თავიანთ სატენდერო წინადადებებზე, ხოლო გამარჯვებულად გამოცხადდნენ რიგით შემდეგი მაღალი ფასის წარმომდგენი კომპანიები. შედეგად, შესყიდვის სახელშეკრულებო ღირებულება ჯამში გაიზარდა 63.9 ათასი ლარით. (გვ. 20)
- სოციალური დახმარებების გაცემაზე გამგეობის მხრიდან არ არის დაწესებული სათანადო კონტროლის მექანიზმები. „სხვა სოციალური ღონისძიებების ქვეპროგრამის წესში“ ზოგადად არის განსაზღვრული თანხის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია, არ არის გაწერილი თანხის გაცემის კრიტერიუმები. პროგრამის ზოგადი ხასიათის კრიტერიუმები ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს. აღსანიშნავია, რომ „სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის“

მთლიანი თანხის 70%-ზე მეტი¹ გაცემულია „სხვა სოციალური ღონისძიების პროგრამის“ ფარგლებში. (გვ. 22)

- „სხვა სოციალური ღონისძიებების“ პროგრამით არ არის გაწერილი გასაცემი თანხების ზღვრების დადგენის კრიტერიუმები. კერძოდ, არ არის დასაბუთებული, მსგავსი პრობლემების მქონე ბენეფიციარებზე გაცემული განსხვავებული ოდენობის თანხების მართებულობა და ობიექტურობა. არსებობს რისკი, რომ არასწორად განისაზღვროს გასაცემი დახმარების მაქსიმალური მოცულობები და შესაბამისად, გამგეობამ ვერ უზრუნველყოს გამოყოფილი თანხების სამართლიანი გადანაწილება (ოპტიმალური ხარჯვა). (გვ. 25)
- სამგორის გამგეობა 2013 წელს სარგებლობის უფლებით განკარგავდა რეკომენდებულ ზღვრულ რაოდენობაზე 9 ავტომანქანით მეტს, ხოლო 2014 წელსა და 2015 წლის პირველ ნახევარში - 8 ავტომანქანით მეტს. (გვ. 25)
- 2014 წლის 25 დეკემბერს გამგეობის მიერ შეძენილია 35 ცალი ტელევიზორი, ღირებულებით - 15.5 ათასი ლარი, ხოლო ტელევიზიის ექსპლუატაციისთვის შეძენილია ციფრული მაუწყებლობის ქსელის დამონტაჟება-მომსახურება, ღირებულებით - 4.9 ათასი ლარი. სამგორის გამგეობის თანამშრომელთა რაოდენობა, ხარჯის გაწევის პერიოდში შეადგენდა 67 ერთეულს. შესაბამისად, ერთი ტელევიზორი, ფაქტობრივად გათვალისწინებული იყო 2 თანამშრომელზე. ტელევიზორებისა და მაუწყებლობის მომსახურების შეძენის აუცილებლობა გამგეობის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული. (გვ. 26)
- 2014-2015 წლებში გამგეობის შენობაში არსებული ოთახების მოსაწყობად, შეძენილია დიზაინერის მომსახურება, საერთო ღირებულებით 3.8 ათასი ლარი. (გვ. 26)
- 2013 წელს მიმწოდებლის მიერ განხორციელდა 1 176 კვ.მ რკინის კონსტრუქციებისა და მავთულბადის დემონტაჟი. გამგეობის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული მასალის დასაწყობების ან სხვაგვარად განკარგვის დოკუმენტაცია. (გვ. 27)
- 2013-2014 წლებში სამგორის რაიონის ტერიტორიაზე გამგეობის დაკვეთით მოჭრილია 1869 და გადაბელილია 381 ძირი ხე. აღნიშნულ პერიოდში გამგეობის მიერ არ არის ნაწარმოები დოკუმენტური აღრიცხვა მოჭრილი ხეების განკარგვის შესახებ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მოჭრილი ხეები, როგორც საშეშე მასალა, გადაეცა გამგეობის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რაზეც შესაბამისი დოკუმენტაცია არ შედგენილა. (გვ. 27)
- ქ. თბილისის მერის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე 2015 წლის 6 თვეში სამგორის რაიონის გამგეობაში, დანამატის სახით გაცემულია 63.6 ათასი ლარი. მიზანშეწონილია ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი დანამატის შესახებ გამოცემულიყო ყოველთვიურად ან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით, რომლის გამოცემის უფლებამოსილება, თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით გააჩნია მუნიციპალიტეტის საკრებულოს. (გვ. 27)

¹ უფასო სასაბუღალტრო მომსახურებასა და წყლის სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯის გარდა.

შესავალი ნაწილი

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშში მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება შემდეგი საკითხები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა - საქმიანობის წარმართვისას, საჯარო რესურსების გამოყენებისას და ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მოქმედ საკანონმდებლო და სხვა აქტების მოთხოვნების დაუცველობა;
- არამართლზომიერი ხარჯვა - სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებების დაუცველობა;
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში სამგორის გამგეობის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აღსანიშნავია, რომ სამგორის გამგეობა ქ. თბილისის მერიის ცალკე სუბიექტად შეიქმნა 2013 წლის მარტში². აქედან გამომდინარე, აუდიტმა მოიცვა გამგეობის 2013 წლის 1 მარტიდან - 2014 წლის სრული და 2015 წლის 6 თვის პერიოდის ბიუჯეტების გადასახდელები.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებას, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით იქნა გამოვლენილი განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

² 2013 წლის მარტამდე ფუნქციონირებდა ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა. ანგარიშში 2013 წლის მონაცემები წარმოდგენილია 2013 წლის 1 მარტიდან.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია არამართლზომიერი ქმედებით.

აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა

ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა არის ქალაქ თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას და ადმინისტრაციული ერთეულის - რაიონის მართვას.

სამგორის რაიონის გამგეობა საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

გამგეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

➤ უზრუნველყოფს საქართველოს კანონების, ქალაქ თბილისის მერის, ქ.თბილისის საკრებულოს, ქ.თბილისის მთავრობისა და საქართველოში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებას;

➤ ამზადებს საბიუჯეტო განაცხადს და წარუდგენს ქ.თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, შემდგომში ქ.თბილისის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებლად. უზრუნველყოფს ქ.თბილისის საკრებულოს მიერ რაიონისათვის დამტკიცებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულებას;

➤ დედაქალაქის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ქ.თბილისის მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამზადებს შესაბამის ინფორმაციას და წარუდგენს ქ.თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს;

➤ ხელს უწყობს რაიონში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებას;

➤ უზრუნველყოფს ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებას.

ბიუჯეტი


სამგორის რაიონის ბიუჯეტი მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში და მისი შემადგენელი ნაწილია. გასაწევი ხარჯების მიმართულებები განსაზღვრულია პროგრამების სახით, რომლის ხარჯვაზეც პასუხისმგებელია რაიონის გამგეობა. კერძოდ, სამგორის რაიონის ძირითადი პროგრამული ხარჯებია:

- გზების მოვლა-შეკეთება;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა;
- კონკრეტული სოციალური პროგრამები;
- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები;
- ადმინისტრაციული ხარჯები.

ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის ბიუჯეტების საკასო ხარჯი შეადგენს 42 060.9 ათას ლარს.


საბიუჯეტო სახსრების ძირითადი ნაწილით დაფინანსებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, რაიონის კეთილმოწყობა და გზების შეკეთება, ასევე სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები, რომლებიც სხვა პროგრამებთან ერთად მოიცავს წყლის სისტემების მოწყობაზე გახარჯულ თანხებს.

დიაგრამა: 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში საბიუჯეტო სახსრების განაწილება



სამგორის რაიონის გამგეობის ხარჯები შედგება: „შრომის ანაზღაურების“, „საქონელი და მომსახურების“, „სოციალური უზრუნველყოფისა“ და „სხვა ხარჯების“ მუხლებისაგან. ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე ნაჩვენებია ხარჯების ჯამური მაჩვენებელი 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში:

დიაგრამა: გამგეობის ხარჯები



ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, გამგეობის ხარჯებში ყველაზე დიდი წილი უკავია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლს -39%, „სხვა ხარჯების“ მუხლს - 33%, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლს - 19%, ხოლო „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯები შეადგენს გამგეობის მთლიანი ხარჯების 9%-ს.

2015 წლის მაჩვენებელი მოიცავს 1 ივლისამდე გაწეული ხარჯების მონაცემებს.

1.სამგორის რაიონის მიერ განხორციელებული შესყიდვები

სამგორის რაიონის მიერ 2013-2015 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა პროგრამისა და ღონისძიებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისათვის გამგეობამ გააფორმა 274 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 23 947.1 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ჯამური მონაცემები შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულებებს, რომელთა შესრულების ვადები მოიცავს 2015 წლის 1 ივლისის შემდგომ პერიოდს.

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში განხორციელებული შესყიდვები (სახელშეკრულებო ღირებულებით)
(ათასი ლარი)

	გამარტივებული შესყიდვა		გამარტ.ელ-ტენდერი		ელ.ტენდერი		კონსოლიდ. ტენდერი		სულ	
	რაოდენ.	თანხა	რაოდენ.	თანხა	რაოდენ.	თანხა	რაოდენ.	თანხა	რაოდენ.	თანხა
2013	24	106.9	45	739.0	28	5455.7	2	18.9	99	6320.5
2014	31	199.4	27	737.4	21	3359.8	4	25.3	83	4322.0
2015	36	500.2	23	365.2	29	12379.5	4	59.7	92	13304.6
სულ	91	806.5	95	1841.7	78	21195.0	10	103.9	274	23947.1

2013-2015 წლებში სამგორის რაიონში განხორციელებული 95 გამარტივებული ელექტრონული ტენდერიდან, 51 ტენდერი (54%) ჩატარდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მონაწილეობით, კერძოდ, 2013 წელს - 27, 2014 წელს - 14 და 2015 წლის პირველ ნახევარში - 10 შემთხვევაში. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ ერთ სამუშაო დღეს, დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან³. გამგეობა ძირითადად იყენებს კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ვადებს. აღნიშნული შესაძლოა იყოს დაბალი კონკურენციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი. მიმდინარე წლის შესყიდვების გეგმა დგება წინა წელს, აქედან გამომდინარე, წინასწარ ცნობილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესყიდვების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობას არ გააჩნია შეზღუდულ ვადაში საქონლის/მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვის აუცილებლობა, სასურველია გამარტივებული ელექტრონული ტენდერი დაგეგმოს და გამოაცხადოს არა მინიმალური ვადებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით, რამაც შესაძლოა უზრუნველყოს მეტი პოტენციური მიმწოდებლის ინფორმირებულობა და ჩართვა ტენდერში. კონკურენციის პირობებში შესაძლოა შემცირდეს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ეკონომიურობის ზრდას.


2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში

ამხანაგობის შექმნისა და საქმიანობის წესს არეგულირებს საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება ისეთი ამოცანების გადასაჭრელად, როგორიცაა, საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა, ექსპლუატაცია და განვითარება. მას ხელმძღვანელობს და სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგენს ამხანაგობის წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე. კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ხელს უწყობენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებას, აღრიცხავენ მათ, ახორციელებენ სწავლებებსა და განმარტებით მუშაობას, მათ განსავითარებლად შეიმუშავენ პროგრამებს და სხვ.

2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, სამგორის რაიონში აღრიცხული იყო 1092 ამხანაგობა. აღნიშნული პროგრამა სამგორის რაიონის ბიუჯეტიდან დაფინანსდა 11 551.1 ათასი ლარით და ამხანაგობების მიერ სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმდა 1480-მდე ხელშეკრულება. პროგრამით გაცემული თანხის 60%-ზე მეტი მოდის სადარბაზოების შიდა რემონტზე, თაღების შეკეთებასა და სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაციაზე.

³ აუდიტის პერიოდში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 8. 2015 წლის 1 ნოემბრიდან მოქმედებს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი.

დიაგრამა 1: პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები (ათასი ლარი)



პროგრამის ფარგლებში სამუშაოები სრულდება საკრებულოს დადგენილების⁴ მიხედვით. აღნიშნული სამართლებრივი აქტი გულისხმობს შესყიდვის განხორციელებას შესყიდვების კანონმდებლობისგან განსხვავებულად.

აუდიტის ჯგუფი უფლებამოსილია განიხილოს და ანგარიშში ასახოს საერთაშორისო სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობისა და აუდიტის მანდატით განსაზღვრული საკითხები, ასევე თემები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად. ამხანაგობების საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის სამუშაოების შესყიდვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებით (პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 15 410.9 ათას ლარს, ხოლო გამგეობის დაფინანსების წილი - 11 551.1 ათას ლარს, რაც მთლიანი ღირებულების 75%-ია). აქედან გამომდინარე, ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შეედარებინა პროექტების განხორციელების პროცესი შესყიდვების კანონმდებლობით და საკრებულოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით. აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ საკრებულოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა მნიშვნელოვანი ხარვეზებით. აღნიშნული ნაკლოვანებების თავიდან აცილება, აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით შესაძლებელი იქნებოდა, საკრებულოს მიერ დადგენილ წესში შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მიმწოდებლების შერჩევა.

შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, გამგეობა უფლებამოსილია განსაზღვროს მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვებში მონაწილე პრეტენდენტი. შემსყიდველმა კრიტერიუმები შეიძლება დააწესოს მიმწოდებლის გამოცდილების, კვალიფიკაციის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სხვა საკითხების მიმართ. გარდა ამისა,

⁴ ქ.თბილისის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

შესყიდვების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ელექტრონულად, რაც ზრდის პოტენციური მიმწოდებლების ინფორმირებულობას და უზრუნველყოფს შემსრულებლების სამართლიანი შერჩევის შესაძლებლობას.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ამხანაგობა დამოუკიდებლად არჩევს შემსრულებელს. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებლის შერჩევა დამოკიდებულია მხოლოდ ამხანაგობის სუბიექტურ გადაწყვეტილებაზე, რის გამოც შესაძლოა ხელშეკრულება გაუფორმდეს სამეწარმეო სუბიექტს, რომელსაც არ გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება.

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 1479 პროექტი და 320 სამეწარმეო სუბიექტთან გაფორმდა ხელშეკრულება. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, 320-დან 74 მიმწოდებელი, როგორც მეწარმე სუბიექტი, დარეგისტრირებულია სამუშაოს შესრულების შესახებ დადგენილების მიღებამდე 3 თვის პერიოდში. აქედან, 1 სუბიექტი სამეწარმეო სუბიექტად დარეგისტრირდა დადგენილების გამოცემის შემდეგ. ახლადდარეგისტრირებულ 74 სამეწარმეო სუბიექტთან გაფორმებულია 280 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 3 815.9 ათასი ლარი, რაც პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის 33%-ს შეადგენს.
- აუდიტის ჯგუფმა ჩაატარა დამატებითი აუდიტორული პროცედურები შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შედეგად გამოვლინდა, რომ 320 სუბიექტიდან სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა არ მიუღია 208 პირს. დანარჩენი 112 პირიდან კი, რომლებიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო შესყიდვებში, ისანი-სამგორის გამგეობასთან ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ 20-ს.

სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა

შესყიდვების კანონმდებლობით შესაძლებელია ხელშეკრულების ისეთი პირობების შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფერისი კონტროლის მექანიზმები სამუშაოების ხარისხიანად და დროულად შესრულების უზრუნველსაყოფად. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია ხელშეკრულებით განსაზღვროს სამუშაოს დასრულებისთვის საჭირო გონივრული ვადა და დაადგინოს საჯარიმო სანქცია ვადების დარღვევის ან სამუშაოს შეუსრულებლობისთვის. ამასთან შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევის მოთხოვნა, რაც დამატებითი მექანიზმია სამუშაოს უხარისხოდ შესრულების თავიდან ასაცილებლად.

ამხანაგობების თავმჯდომარეებისათვის, მათი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შესაძლოა სირთულეს წარმოადგენდეს მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შემუშავება.

- აუდიტის ჯგუფმა შეარჩია 2013 წელს წყალსაწრეტი მიწების შეკეთებაზე გაფორმებული 24 ხელშეკრულება, სადაც სამუშაოების შესრულების გარანტიასთან დაკავშირებით ამხანაგობებს სხვადასხვა მიდგომა აქვთ და ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო პერიოდი მერყეობს 1 წლიდან 5 წლამდე.
- 2013 წელს, ერთსა და იმავე მიმწოდებელთან 3 შემთხვევაში, ამხანაგობამ გააფორმა ხელშეკრულებები, საერთო თანხით - 23.2 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების დასრულების ვადა იყო 2013 წლის 15 დეკემბერი. წლის ბოლოსათვის ხელშეკრულებები შეწყდა იმ მიზეზით, რომ მიმწოდებელმა ვერ მოასწრო სამუშაოების დასრულება. სამუშაოების შესრულების ვადის გადაცილებაზე ხელშეკრულება არ

ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს, რაც დამატებითი დამცავი მექანიზმი იქნებოდა ამხანაგობისთვის, თავიდან აეცილებინა სამუშაოების შეუსრულებლობა.

- მიმწოდებელთან გაფორმდა ხელშეკრულება ლიფტის შეკეთებაზე, თანხით - 8.8 ათასი ლარი, რომელიც არ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობებს⁵, კერძოდ, კონკრეტულ სანქციებს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში. ამხანაგობამ მეწარმე სუბიექტს ჩაურიცხა თანადაფინანსების წილი. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელმა უარი თქვა სამუშაოების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, ამხანაგობას შესაძლოა მიეღო კონკრეტული ოდენობის კომპენსაცია ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

პროგრამით გამოყოფილი თანხების ეკონომიური ხარჯვა

შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, 5000 ლარზე მეტი სამუშაოს/მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, შესყიდვა ტარდება ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სადაც უმეტეს შემთხვევაში მონაწილეობს ერთზე მეტი კომპანია. პრეტენდენტებს შორის ვაჭრობის შედეგად ხდება სავარაუდო ღირებულების შემცირება, რაც ზრდის საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის შესაძლებლობას.

2013-2014 წლებსა და 2015 წლის პირველ ნახევარში სამგორის რაიონის გამგეობამ ჩაატარა 173 ტენდერი, სავარაუდო ღირებულებით 27464.5 ათასი ლარი. ელექტრონული ვაჭრობის გზით სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 17%-ით შემცირდა და ეკონომიამ შეადგინა 4000.0 ათას ლარზე მეტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების, კანონმდებლობით განსაზღვრული ტენდერის სახით შეძენის შემთხვევაში, სამგორის გამგეობა სავარაუდოდ, შეძლებდა არსებითი ეკონომიის მიღებას.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ამხანაგობა დამოუკიდებლად არჩევს მიმწოდებელს. შერჩეული სამეწარმეო სუბიექტი თავად ადგენს ხარჯთაღრიცხვას და თვითონვე განსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოების ფასებსა და მოცულობებს. აღნიშნული გამორიცხავს სავარაუდო ღირებულების ვაჭრობის შედეგად შემცირებას, ხოლო გამგეობის მხრიდან პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილ სახსრებზე ზედამხედველობის ფუნქცია არ არის სათანადოდ განსაზღვრული.

შესრულებული სამუშაოების კონტროლი.

შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლი შესაძლოა დაევალოს თანამშრომელს, თანამშრომელთა ჯგუფს ან ნებისმიერ სხვა პირს. აღნიშნული ხელს უწყობს როგორც სამუშაოების ხარისხიან შესრულებას, ასევე უზრუნველყოფს სამუშაოს შესრულების პროცესში ხარვეზების გამოვლენას და მათზე დროულ რეაგირებას.

ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ხარჯთაღრიცხვებისა და სამუშაოების შესრულებას ამოწმებდა შემსრულებლის მიერ შერჩეული ექსპერტი. შესაბამისად, არც გამგეობას და არც ამხანაგობას არ გააჩნდა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა შესრულებული სამუშაოების კვალიფიციურად და ობიექტურად შემოწმებას⁶. ამასთანავე, უმეტეს შემთხვევაში ექსპერტი აზომვებს ატარებდა ხილულ სამუშაოებზე, ხოლო დანარჩენ სამუშაოებს ადასტურებდა შესრულებული სამუშაოების აქტსა და

⁵ ხელშეკრულება მოიცავს ზოგადი ხასიათის პირობას, სამუშაოების არასათანადო შესრულებისთვის.

⁶ გარდა ლიფტების შეკეთების სამუშაოებისა.

ხარჯთაღრიცხვაზე დაყრდნობით⁷. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ დოკუმენტაციაში მითითებული და ანაზღაურებული სამუშაოები არ არის შესრულებული შესაბამისი მოცულობებით და ხარისხით. ასევე, მოქმედი წესის მიხედვით, ამხანაგობა არ ახორციელებს სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგს და მხოლოდ დასრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება ხდება.

- 2014 წელს ამხანაგობა „ნიკემ“ ხელშეკრულება გააფორმა სახლის ქანობიანი სახურავის შეკეთებისთვის. ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა ჩაატარა შპს „თდშ“-მ და დაადასტურა, რომ ხარჯთაღრიცხვის საერთო ღირებულება შეადგენდა 7.4 ათას ლარს. შესრულებული სამუშაოები შეამოწმა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“. ექსპერტის დასკვნით ირკვევა, რომ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტი არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და შესრულებული სამუშაოების ღირებულება ნაცვლად 7.4 ათასი ლარისა, შეადგენდა 4.4 ათას ლარს.
- 2013-2015 წლებში პანელოვან შენობებში⁸ სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია გამგეობის მიერ დაფინანსებულია 2532.8 ათასი ლარით. ნაპრალების რეაბილიტაცია გულისხმობდა ისეთ სამუშაოებს, როგორებიცაა, ნაპრალებიდან ნალესის ჩამოყრა, წებო-ემულსიის ან აკვასტოფის წასმა, ნაპრალების ამოვსება ქვიშა-ცემენტის ხსნარით და სხვ. შესრულებული სამუშაოების უმეტესობის დადასტურება პროექტის დასრულების შემდეგ ვიზუალური დათვალიერებით შეუძლებელია. შესაბამისად, არ იყო უზრუნველყოფილი კონტროლი, თუ რამდენად რეალურად დგებოდა ხარჯთაღრიცხვა და სრულდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობები.

საკრებულოს მიერ მიღებული წესის მიხედვით 2015 წლიდან მიმწოდებლის შერჩევისას აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს შემსრულებლის სამუშაო გამოცდილება. ასევე, სამუშაოების ხარჯთაღრიცხვებს, დეფექტურ აქტებს, საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზას, მიმდინარე სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას და შესრულებული სამუშაოების აქტების დადასტურებას ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული ორგანიზაცია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ხარჯთაღრიცხვისა და სამუშაოების შემოწმება დაევალა შპს „ლაბორატორიას“. სამუშაოების შესრულების პროცესში შპს „ლაბორატორიის“ ჩართვით, შესაძლოა მნიშვნელოვნად აღმოიფხვრას კონტროლის ხარვეზები.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ დადებითი მხარეებს წარმოადგენს ის გარემოებები, რომ იზრდება ამხანაგობების დამოუკიდებლობის ხარისხი და მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი. თუმცა, იგივე შედეგების მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, რაც თავის მხრივ შეამცირებდა პროგრამის ფარგლებში სამუშაოების შესრულებისას დაშვებულ ხარვეზებს.

აღსანიშნავია, რომ შემუშავებული მექანიზმები არასაკმარისია და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოვლენას. სასურველია აუდიტის ობიექტმა, კომპეტენციის ფარგლებში, პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე დააწესოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომლითაც შესაძლებელი იქნება აუდიტის შედეგად გამოვლენილი რისკების შემცირება.

ზემოთ მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, სამგორის გამგეობასთან ერთად გაანალიზოს არსებული წესის

⁷ 2015 წლიდან ხარჯთაღრიცხვებისა და სამუშაოების შემოწმების მომსახურებას გამგეობას უწევს შპს „ლაბორატორია“.

⁸ მრავალსართულიანი კორპუსები, რომლებიც მონტაჟდებოდა ქარხნული წესით დამზადებული მთლიანი სექციური კონსტრუქციებით.

მიხედვით სამუშაოების შესყიდვის პრაქტიკა და მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ხელახლა განიხილოს პროგრამის დაფინანსების საკითხი, შესყიდვების კანონმდებლობის არსის გათვალისწინებით.

ამხანაგობის თავმჯდომარეების წახალისება

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამგორის რაიონში აღრიცხული იყო 997 ამხანაგობის თავმჯდომარე, 2014 წლის 1 იანვრისთვის - 1045, ხოლო 2015 წლის 1 იანვრისათვის - 1092 ამხანაგობის თავმჯდომარე. 2013-2014 წლებში მათზე წახალისების სახით გაიცა 751.1 ათასი ლარი. აღნიშნულ პერიოდში წახალისება განაწილდა შემდეგნაირად:

- ერთხელ წახალისდა 99 პირი;
- ორჯერ - 130 პირი;
- სამჯერ - 528 პირი;
- ოთხჯერ - 15 პირი;
- საერთოდ არ წახალისებულა 273 ამხანაგობის თავმჯდომარე.

გამგეობაში დოკუმენტურად ვერ ადასტურებენ წახალისების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ობიექტურობას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მისთვის უცნობია, როგორ და რა კრიტერიუმებით არჩევენ წახალისებელ პირებს. გამგეობის თანადაფინანსების განყოფილების მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაციით ირკვევა, რომ არის შემთხვევები, როდესაც პირები 2013-2014 წლებში წახალისებულია რამდენჯერმე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში არც ერთი პროექტი არ განუხორციელებიათ.

2013 წლის 21 ნოემბრიდან ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილ წესში შევიდა ცვლილება,⁹ რომლის მიხედვითაც, ამხანაგობის თავმჯდომარემ არა უგვიანეს ყოველი წლის 15 დეკემბრისა, რაიონის გამგეობას უნდა წარუდგინოს მომდევნო წლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის აღრიცხვის ბარათი (ფორმა №1), ხოლო ყოველი კვარტლის ბოლო თვის 15 რიცხვამდე, მიმდინარე კვარტლის განახლებული ბარათი. აღრიცხვის ბარათში წარმოდგენილია ინფორმაცია ამხანაგობის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. წესი ითვალისწინებდა აღნიშნული დოკუმენტისა და ამხანაგობის თავმჯდომარეების მიერ გაწეული მუშაობის საფუძველზე, თავმჯდომარის წახალისებას.

ინფორმაცია გაცემული წახალისების თანხების შესახებ, მოცემულია ცხრილის სახით.

თარიღი	წახალისებული პირების რაოდენობა	გაცემული თანხა (ათასი ლარი)
25 აპრილი, 2013 წ.	396	148.5
13 აგვისტო, 2013 წ.	280	105.0
28 ოქტომბერი, 2013 წ.	1	0.375
24 დეკემბერი, 2013 წ.	659	247.1

⁹ ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება №17-51.

25 აპრილი, 2014 წ.	667	250.1
--------------------	-----	-------

2013 წლის 21 ნოემბრის შემდეგ, საკრებულოს მიერ დადგენილი წესის დარღვევით, ამხანაგობის თავმჯდომარეებზე სულ გაცემულია 323.2 ათასი ლარი. 1326 შემთხვევიდან - 862 შემთხვევაში, გაცემულია წახალისება აღრიცხვის ბარათების წარმოდგენის გარეშე, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში აღრიცხვის ბარათები წარმოდგენილია ხარვეზებით. ზოგიერთ შემთხვევაში თარიღები გადასწორებულია ან მითითებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. შემდგომი აუდიტორული პროცედურების ჩასატარებლად შეირჩა 2013 წელს წარმოდგენილი 59 და 2014 წელს წარმოდგენილი 32 აღრიცხვის ბარათი.

პროცედურები ჩატარდა შემდეგი რისკის გადასამოწმებლად: წახალისდნენ თუ არა პირები ობიექტურად, პროგრამის ფარგლებში გაწეული აქტიური მუშაობისათვის.

შერჩეული ბარათებისა და სამგორის რაიონის გამგეობის თანადაფინანსების განყოფილების მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ 2013 წელს 59-დან 50 შემთხვევაში წახალისება გაცემულია პირებზე, რომელთაც 2013 წელს არც ერთი პროექტი არ განუხორციელებიათ. ასევე, 2014 წელს შერჩეული 32 ამხანაგობის თავმჯდომარეიდან, 16 წახალისდა მიუხედავად იმისა, რომ 2013-2014 წლებში არანაირი პროექტი არ განუხორციელებიათ.

თავმჯდომარეებზე წახალისების გაცემის შესწავლის პროცესში გამოვლინდა სხვა ხარვეზებიც, კერძოდ:

- 2013 წლის 28 ოქტომბერს გამგებლის წერილის საფუძველზე¹⁰, წახალისება ჩაერიცხა მარელისის ქუჩის №27 სახლის ამხანაგობის თავმჯდომარეს. მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს გადაწყვეტილებით¹¹, 2013 წლის 2 სექტემბრიდან 21 ნოემბრამდე პერიოდში აკრძალული იყო ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან ამხანაგობების თავმჯდომარეთა წახალისება.
- 2013 წელს წახალისება ჩაერიცხა ჭიჭინაძის ქუჩა №17-ის ამხანაგობის თავმჯდომარეს, მიუხედავად იმისა, რომ რაიონის გამგებლის განკარგულება არ ითვალისწინებდა მის წახალისებას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, განკარგულებაში დაშვებული იყო შეცდომა და ამხანაგობა „ქინძმარაულის“ თავმჯდომარე წასახალისებელ პირთა სიაში წარმოდგენილი იყო ორჯერ. შესაბამისად, იმისათვის რომ ერთი და იმავე პირისთვის თანხა ორჯერ არ ჩაერიცხათ, წახალისება გაიცა ჭიჭინაძის ქუჩა №17-ის ამხანაგობის თავმჯდომარის სახელზე.

3. სასმელი წყლის სისტემის მოწყობა

ქ. თბილისის მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით¹² დამტკიცდა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე¹³ წყალსადენის ქსელის მოწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მოსახლეობისათვის დახმარების გაცემის პირობები. დადგენილი პირობების მიხედვით, სამგორის რაიონის გამგეობას მიენიჭა უფლებამოსილება, მოსახლეობის მიმართვის

¹⁰ სამგორის რაიონის გამგებლის წერილი №10-43/13297727.

¹¹ ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება №13-39.

¹² დადგენილება №24.03.1079

¹³ დასახლებები: დიდი ლილო, პატარა ლილო, ნასაგური და წინუბანი.

საფუძველზე დაეფინანსებინა წყალმომარაგების ქსელის პროექტირების, სამუშაოების განხორციელების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის ხარჯები. აღსანიშნავია, რომ სამუშაოები შესრულდა შესყიდვების კანონმდებლობის გვერდის ავლით. კერძოდ, ახლად შემოერთებული ტერიტორიების დასახლებებში შეიქმნა ამხანაგობები, რომლებმაც პროექტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები გააფორმეს მომსახურე ორგანიზაციასთან. წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების უფლებამოსილების ამხანაგობებისათვის გადაცემით, შეიძლება ითქვას, რომ მოხდა საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური მართვა.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა მნიშვნელოვანი უზუსტობები და მაღალი რისკის მქონე გარემოებები, როგორც პროექტის მომზადებისა და სამუშაოების შესრულების, ასევე მისი ექსპერტიზისა და ზედამხედველობის პროცესში. კერძოდ:

საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

შესასრულებელ სამუშაოებზე პროექტი და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ამხანაგობების დაკვეთით, შედგენილია შემდგომში იმავე სამუშაოების შემსრულებელი კომპანია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ, ღირებულებით - 112.8 ათასი ლარი. ქ.თბილისის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პირობების თანახმად, დაფინანსების მისაღებად ამხანაგობებს გამგეობაში სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარედგინათ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის დასკვნა.

აღსანიშნავია, რომ გამგეობაში წარდგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა დაევალა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“. საექსპერტო დასკვნები ეხებოდა მხოლოდ სამუშაოების ღირებულებით გაანგარიშებებს. შედეგად, არ იქნა შესწავლილი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობები, მათი შესაბამისობა და მიზანშეწონილობა. გარდა აღნიშნული გარემოებებისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გაირკვა, რომ ანაზღაურებული ცალკეული ფარული სამუშაოს მოცულობა საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სახელშეკრულებო მოცულობასთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯთაღრიცხვა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ თავად შეადგინა, შესრულებულია 320.6 ათასი ლარის ღირებულების ისეთი სამუშაოები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვით. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ხარჯთაღრიცხვა შედგენილია მნიშვნელოვანი ხარვეზებით, რამაც სავარაუდოდ სამუშაოს ღირებულების არასწორი დათვლა განაპირობა.

სამუშაოების შესრულება

2013 წლის 25 ნოემბერს ამხანაგობებმა, პროექტის განხორციელების მიზნით, ხელშეკრულებები გააფორმეს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ საერთო ღირებულებით - 6 907.2 ათასი ლარი.

2013 წლის დეკემბერში შემსრულებელ კომპანიას ავანსის სახით გადაერიცხა 2 736.3 ათასი ლარი, ხოლო ეტაპობრივი გადახდები ხორციელდებოდა შუალედური მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე. სამუშაოები დასრულდა 2014 წლის ივნისში და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 6 566.4 ათასი ლარი, რაც გამგეობის მიერ სრულად ანაზღაურდა.

ქ. თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით, ამხანაგობებს შემსრულებელთან ანგარიშსწორებისათვის გამგეობაში უნდა წარედგინათ მიღება-ჩაბარების აქტები და ექსპერტიზის დასკვნები (შესრულებული სამუშაოების შესახებ). წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გაირკვა, რომ ექსპერტიზის დასკვნები არ არის წარდგენილი, ხოლო გამგეობის მიერ ანგარიშსწორება განხორციელებულია მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რომელთაც ხელს აწერდნენ შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენელი და ამხანაგობის თავმჯდომარე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგობა „დიდი ლილოს“ თავმჯდომარის წერილობითი განმარტებით, 2014 წლის 20 მაისს გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტზე (სამუშაოების ღირებულება - 538.1 ათასი ლარი) მისი სახელით დაფიქსირებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნის და მისთვის უცნობია ხელმოწერის ვინაობა. აღნიშნული გარემოება საჭიროებს დამატებით შესწავლას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

აუდიტის ჯგუფის მიერ წყალმომარაგების ქსელის ხილული ნაწილის ვიზუალური დათვალიერებისას, რომელსაც ესწრებოდნენ კონკრეტული უბნების განყოფილების უფროსები და ამხანაგობების თავმჯდომარეები, სავარაუდოდ გამოვლინდა სხვადასხვა შეუსრულებელი სამუშაო. კერძოდ, არ არის შესრულებული ფორმა №2-ში მითითებული ასფალტბეტონის საფარის აყრის სამუშაოები, პატარა ლილოს უბანში 4490 კვ.მ, ღირებულებით - 17.0 ათასი ლარი, წინუბნისა და ნასაგურის უბნებში 837 - კვ.მ, ღირებულებით - 3.2 ათასი ლარი¹⁴. ასევე, პატარა ლილოს უბანში ზედმეტი ყამირი და სამშენებლო ნაგავი, სავარაუდოდ, 2800 კუბ.მ, 25 კმ-ის მანძილზე გატანის ნაცვლად, ტრანსპორტირებული და დაყრილია მშენებლობის ობიექტიდან დაახლოებით 500 მეტრში, ხოლო წინუბნისა და ნასაგურის უბნებში, სავარაუდოდ, 2883 კუბ.მ ზედმეტი ყამირი და სამშენებლო ნაგავი 25 კმ-ის მანძილზე გატანის ნაცვლად, გაშლილია ადგილზე. მომსახურე ორგანიზაციის მიერ შედგენილ ფორმა №2-ში აღნიშნული სამუშაოები დაფიქსირებულია, როგორც შესრულებული და დადასტურებულია ზედამხედველი კომპანიის მიერ.

სამუშაოს შესრულების ზედამხედველობა და ექსპერტიზა

პროექტით განსაზღვრულ სამუშაოებზე ზედამხედველობას აწარმოებდა, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ შერჩეული კომპანია შპს IGP, რომელსაც გაწეული მომსახურებისათვის სამგორის რაიონის ბიუჯეტიდან აუნაზღაურდა 42.7 ათასი ლარი. სახელშეკრულებო პირობების თანახმად, საზედამხედველო კომპანიას ევალებოდა, რომ საექსპერტო დასკვნით დაედასტურებინა შესრულებული სამუშაოს აქტის სისწორე და პროექტთან შესაბამისობა ან შეეტანა მასში შესაბამისი ცვლილებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით ირკვევა, რომ საზედამხედველო კომპანიის მიერ საექსპერტო დასკვნები არ არის შედგენილი, ხოლო შესრულებული სამუშაოების აქტების სისწორე დადასტურებულია კომპანიის ბეჭდითა და წარმომადგენლის ხელმოწერით.

2015 წლის 3 ივნისს დასრულებულ სამუშაოებს ჩაუტარდა საექსპერტო გამოკვლევა¹⁵, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებულ წესთან შესაბამისობის კუთხით (წესი ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების ღირებულების დადგენას ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით). შემსრულებელმა კომპანიამ ექსპერტიზაზე წარადგინა შესრულებული სამუშაოების აქტები, საერთო ღირებულებით - 4 333.6 ათასი ლარი.

¹⁴ აღნიშნულ უბნებში გაყვანილია გრუნტის გზები.

¹⁵ სსიპ „ლეკან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის მიხედვით, წყლის სისტემის მოწყობაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 4 312.4 ათას ლარს, რაც ანაზღაურებულ თანხასთან შედარებით, 2 254.0 ათასი ლარით ნაკლებია.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ ექსპერტიზაზე წარდგენილი, შესრულებული სამუშაოების მოცულობები და ფასები არსებითად განსხვავდება ამხანაგობებისათვის ანაზღაურების მიზნით წარდგენილი ფასებისაგან.

მონაცემები სამუშაოების განსხვავებული ღირებულებების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით.

(ათასი ლარი)			
დასახლების დასახელება	ექსპერტიზაზე წარდგენილი	გამგეობაში წარდგენილი	სხვაობა
ნასაგური და წინუბანი	781,1	1395,8	614,7
დიდი ლილო	1084,5	1493,1	408,5
პატარა ლილო	2468	3677,6	1209,5
სულ:	4333,6	6566,5	2232,9

აღნიშნული გარემოება ქმნის საფუძვლიან ვარაუდს, რომ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ამხანაგობებს წარუდგენდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოებისაგან განსხვავებულ ფორმა №2-ს, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაზრდილი მოცულობებითა და ღირებულებებით¹⁶.

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში¹⁷, შემსრულებელმა კომპანიამ საბიუჯეტო ანგარიშზე დააბრუნა 2 213.4 ათასი ლარი¹⁸, თანხის მიღებიდან დაახლოებით 15 თვის შემდეგ. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ზედმეტად ანაზღაურებული თანხა ირიცხებოდა მიმწოდებლის ანგარიშზე და ბიუჯეტს არ ჰქონდა მისი გამოყენების შესაძლებლობა. ქ. თბილისის ბიუჯეტის ანგარიშზე აღნიშნული თანხის არსებობის შემთხვევაში, ბიუჯეტი მიიღებდა დამატებით საპროცენტო სარგებელს, რომელიც დაერიცხებოდა თავისუფალ ნაშთს იმ პერიოდში დადგენილი განაკვეთის შესაბამისად, ხოლო შესრულების მიხედვით განხორციელებული ეტაპობრივი გადახდებისას, მომსახურე ორგანიზაციისათვის რეალური ღირებულების გადახდის შემთხვევაში, ბიუჯეტი გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებდა.

აღსანიშნავია, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ გამოკვლევები არ შეხებია შესრულებული სამუშაოების მოცულობებს. როგორც დასკვნაშია აღნიშნული, ექსპერტი დაეყრდნო შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალური დირექტორის წერილს¹⁹, სადაც ის აღნიშნავდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მოცულობები სრულად იყო შესრულებული. საექსპერტო დასკვნაში მითითებულია, რომ ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების ჯამური ღირებულება ფორმა №2-ში წარმოდგენილია გაუშიფრავი

¹⁶ სავარაუდოდ, სახელშეკრულებო ღირებულების ათვისების მიზნით.

¹⁷ 2195.4 ათასი ლარი-2015 წლის 11 სექტემბერს, 15.0 ათასი ლარი-2015 წლის 22 ოქტომბერს, 3.0 ათასი ლარი-2015 წლის 10 ნოემბერს.

¹⁸ დასაბრუნებელ თანხას გამოაკლდა ტექნიკური ზედამხედველობის ღირებულება.

¹⁹ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალური დირექტორის 2015 წლის 17 აპრილის №3238/09 წერილი.

სახით, რაც სამგორის რაიონის ტერიტორიაზე შეადგენს 480.0 ათას ლარზე მეტს (დარიცხვების გარეშე). ამდენად, ექსპერტიზის მიერ ვერ მოხერხდა სამუშაოების პირდაპირი დანახარჯების შემოწმება, შესაბამისი დოკუმენტაციის არ/ვერ წარმოდგენის გამო. გარდა ამისა, საექსპერტო დასკვნით, მანქანა-მექანიზმებზე დაანგარიშება ვერ განხორციელდა ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ღირებულება გამოყვანილ იქნა სამშენებლო რესურსებზე არსებული სტატისტიკური ფასებით. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საექსპერტო ბიურომ სრულად ვერ შეძლო ფაქტობრივი დანახარჯების განსაზღვრა²⁰.

4. აფიდავიტის მოთხოვნების დარღვევის რისკი

სამგორის რაიონის გამგეობის მიერ წარმოდგენილი 2013-2014 წლების შესყიდვების დოკუმენტაციის შემოწმებით, ერთეულ შემთხვევებში გამოიკვეთა რისკი, რომ პრეტენდენტები, მეტი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, შესაძლოა, მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით. კერძოდ, სავარაუდოდ არ შესრულდა საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული აფიდავიტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, კონკურენტებს ეკრძალებათ კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება სატენდერო წინადადების ფასის და წინადადების წარდგენის, ან წარდგენისაგან თავის შეკავების შესახებ.

- ✓ 2013 წელს უფასო სასადილოს მომსახურებაზე გამოცხადებულ ტენდერში, სავარაუდოდ ღირებულებით 201.3 ათასი ლარი, მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. აღნიშნულ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი (158.3 ლარი) წარმოადგინა შპს „ლიზიმ“, რომელმაც შემდეგ უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე. შედეგად, სატენდერო კომისიამ მოახდინა მისი დისკვალიფიკაცია და გამარჯვებულად გამოცხადდა მაღალი ფასის წარმომდგენი კომპანია შპს „ილი ჯგუფი“, ღირებულებით - 199.3 ათასი ლარი (სხვაობა დისკვალიფიცირებული და გამარჯვებული კომპანიების ფასებს შორის შეადგენს - 41.0 ათას ლარს). მეტი ფინანსური სარგებლის მიღების რისკზე საპასუხოდ აუდიტის ჯგუფმა განახორციელა დამატებითი აუდიტორული პროცედურები. კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით განხორციელდა ამ ორი სამეწარმეო სუბიექტის მიერ შესყიდვების პროცესში მონაწილეობის ანალიზი. შედეგად, დადგინდა, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს ქ. თბილისის სხვა რაიონებშიც, მაგალითად, გლდანის რაიონში გამოვლინდა 4 შემთხვევა.
- ✓ 2014 წლის 29 სექტემბერს სამგორის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც ითვალისწინებდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ღირებულებით - 431.8 ათასი ლარი, მონაწილეობა მიიღო 5 პრეტენდენტმა. ტენდერზე ყველაზე დაბალი ფასი - 302.5 ათასი ლარი, წარმოადგინა შპს „არსაკიძე-2000“-მა. აღნიშნულმა კომპანიამ გამარჯვების შემდეგ უარი განაცხადა სატენდერო წინადადებაზე და მოხდა მისი დისკვალიფიკაცია. შემდეგმა პრეტენდენტმა, შპს „კომფორტმშენმა“ არ დააზუსტა სატენდერო დოკუმენტაცია, რის გამოც ასევე მიიღო დისკვალიფიკაცია. გამარჯვება მიეკუთვნა მაღალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს შპს „სატრანსპორტო სამშენებლო კომპანიას“, ღირებულებით - 325.4 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვების შემდეგ, შპს „სატრანსპორტო სამშენებლო კომპანიამ“ სამი სარეაბილიტაციო ქუჩიდან, ორის შესრულებაზე ქვეკონტრაქტორად აიყვანა შპს „არსაკიძე 2000“ (სხვაობა დისკვალიფიცირებული და გამარჯვებული კომპანიის ფასებს შორის შეადგენს - 22.9 ათას ლარს).

²⁰ აღნიშნული საკითხი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში.

დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციითა და შემდეგი, უფრო მაღალი ფასის პრეტენდენტის გამარჯვებულად გამოცხადებით, შესყიდვის სახელშეკრულებო ღირებულება ჯამში გაიზარდა 63.9 ათასი ლარით.

5. გადახდილი დღგ

2014-2015 წლებში სამგორის გამგეობის მიერ გადახდილია დღგ-ის თანხა ისეთ მიმწოდებლებზე, რომლებიც არ იყვნენ დღგ-ის გადამხდელები. კერძოდ, 2014 წლის 7 მარტს გამგეობასა და შპს „შენსერვის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა დასასვენებელი საბაღე მრავალადგილიანი სკამების დამზადება-მონტაჟს, ღირებულებით - 25.5 ათასი ლარი.

2015 წლის 11 მარტს გამგეობასა და ი/მ „ივანე თავშავაძეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული და ავარიული შენობების, სადარბაზოების წინაფრების დემონტაჟს, ღირებულებით 78.1 ათასი ლარი.

აღნიშნული სამუშაოების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერებში დაფიქსირებული სავარაუდო ღირებულებები მოიცავდა დღგ-ის თანხას. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებლები არ იყვნენ დღგ-ის გადამხდელები, გამგეობამ მათ სრულად აუნაზღაურა სამუშაოს ღირებულება, მათ შორის, დღგ - 18.6 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, სამგორის გამგეობას უფლება ჰქონდა ტენდერი გამოეცხადებინა როგორც დღგ-ის გათვალისწინებით, ისე დღგ-ის გარეშე. „დღგ-ის გარეშე ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების დადებისას ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად“. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობა გამოაცხადებდა ტენდერს დღგ-ის გარეშე, ფინანსური სახსრები უფრო რაციონალურად დაიხარჯებოდა და ბიუჯეტი დამატებით სარგებელს მიიღებდა.

6. სოციალური დახმარების პროგრამა

გამგეობა მოქალაქეებზე სოციალური დახმარების გაცემას ახორციელებს წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების ფარგლებში, ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. სამგორის რაიონის მიერ 2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე გაიხარჯა 13 619.7 ათასი ლარი, მათ შორის, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგებაზე - 6 730.2 ათასი ლარი:

ცხრილი. სოციალური დახმარების პროგრამების სახეები (ათასი ლარი)				
პროგრამის დასახელება	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი (6თვე)	სულ
უფასო სასადილოთი მომსახურება	719,9	1062,8	815,3	2598,0
გარდაცვლილ მეომერთა სარიტუალო ღონისძიებები	15,4	12,9	6,3	34,6
დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია	237,4	360,9	241,4	839,7
ომის ვეტერანთა დახმარება	14,9	7,3	0,5	22,7
სხვა სოციალური ღონისძიებები	1361,1	1023,7	1009,7	3394,5
წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება	2900	3830,2	0	6730,2
ჯამი :	5248,7	6297,8	2073,2	13619,7

უფასო სასადილოებით მომსახურება ითვალისწინებს რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების უფასო კვებით უზრუნველყოფას. 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში სამგორის რაიონის გამგეობის მიერ ბენეფიციარების უფასო კვებით უზრუნველყოფაზე სულ გახარჯულია 2 598.0 ათასი ლარი²¹. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2013 წელს ყოველდღიური ერთჯერადი კვების სახით დახმარება გაეწია რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ - 2348 ბენეფიციარს, 2014 წელს - 3949 ბენეფიციარს, ხოლო 2015 წლის პირველ ნახევარში - 3966 ბენეფიციარს. საანგარიშო პერიოდში უმწეოთა სასადილოებისათვის გამოყოფილი თანხებიდან, ერთ ბენეფიციარზე, მეწარმე სუბიექტების ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, თანხა დღიურად შეადგენს 0.8-დან - 1.18 ლარამდე.


გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ითვალისწინებს გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისთვის დახმარებას 350 ლარის ოდენობით. აუდიტის პერიოდში, სულ დახმარების სახით გაცემულია 34.6 ათასი ლარი.

დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის პროგრამის ფარგლებში, დახმარების მიღების უფლება აქვს პირს, რომლის საცხოვრებელი ფართობი სხვადასხვა მიზეზით დაინგრა, დაიწვა, ავარიულია ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში გახდა. 2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვეში დახმარება გაეწია 459 ბენეფიციარს, თანხით 839.7 ათასი ლარი.

ომის ვეტერანების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანებისთვის სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებას და მათ დახმარებას. პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 81 ბენეფიციარს და გაიხარჯა 22.7 ათასი ლარი.

უფასო სასადილოს მომსახურებისა და წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების გამოკლებით, სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებს შორის ყველაზე დიდი წილი უკავია „სხვა სოციალური ღონისძიებების“ პროგრამას, რომელიც წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

დიაგრამა: სოციალური პროგრამების განაწილება ²²



²¹ 2013წელს - 719.9 ათასი ლარი, 2014 - 1062,8 ათასი ლარი, 2015 წლის პირველ ივლისამდე - 815,3 ათასი ლარი.

²² უფასო სასადილოს მომსახურებასა და წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგებაზე გახარჯული თანხა გამოყოფილია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან. დიაგრამაზე წარმოდგენილია 2013 წლის 1 მარტიდან არსებული მონაცემები.

აღნიშნული პროგრამის ძირითადი მიმართულებაა რაიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად დახმარების გაწევა, ასევე, მოქალაქეების საარსებო პირობების გაუმჯობესება და სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციაში დახმარება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტები, სამშენებლო მასალები, სტუდენტების სწავლის ქირა და სხვა მატერიალური დახმარება.

ცხრილი. „სხვა სოციალური ღონისძიებების“ ფარგლებში გაწეული დახმარებები

დასახელება	2013	2014	2015 წლის 6 თვე	სულ
მკურნალობა	473,9	201,4	186,2	861,5
მედიკამენტები	489,6	258,9	459,7	1208,2
დაკრძალვა	53,6	78,5	46,5	178,6
სამშენებლო მასალები	54	54,6	27,2	135,8
სწავლის გადასახადი	19,4	17,5	0,6	37,5
ფინანსური დახმარება	200,2	317	232,7	749,9
კომუნალური გადასახადების დაფარვა	3,9	6,7	2,3	12,9
ბავშვების კვება	2	0,6	0	2,6
შეშის დახერხვა			2,5	2,5
საახალწლო დახმარება	44,8	88,5		133,3
სააღდგომო დახმარება	19,6		41,5	61,1
კვერცხის შეძენა			10,6	10,6
სულ:	1361,1	1023,7	1009,8	3394,6

დახმარების მიღების მიზნით, მოქალაქე განცხადებით მიმართავს რაიონის გამგეობას. განცხადების განხილვის შემდეგ, დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგებელი და გამოსცემს ბრძანებას თანხის გაცემაზე.

აუდიტის ჯგუფმა მოსახლეობაზე დახმარებების გაცემის მართებულობის შესწავლის მიზნით, მოახდინა თანხის გაცემის წესისა და დახმარების გაწევაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის ზოგადი შეფასება. „სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის“ თანხის 70%-ზე მეტი²³ გაცემულია „სხვა სოციალური ღონისძიებების პროგრამის“ ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში თანხის გაცემის არსებულ წესში აღწერილია თანხის გაცემისა და ბენეფიციარების შერჩევის ზოგადი მიდგომები და არ მოიცავს კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ბენეფიციარმა სოციალური დახმარების მისაღებად, ხოლო ობიექტური კრიტერიუმების არარსებობა, ვერ უზრუნველყოფს თანხების სამართლიან, ეფექტიან და მიზნობრივ განაწილებას.

²³ უფასო სასაბუღალტრო მომსახურებასა და წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგებაზე გახარჯული თანხა გამოყოფილია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან.

სუბიექტურად მიღებული გადაწყვეტილებები

პროგრამის ზოგადი ხასიათის კრიტერიუმები ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს. წესის მიხედვით, ზოგადად არის განსაზღვრული თანხის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია, არ არის გაწერილი თანხის გაცემის წესი და კრიტერიუმები, ასევე, დაკონკრეტებული არ არის დახმარების მიმღებ პირთა კონტინგენტი, არ არის გაწერილი, თანხის გაცემისას ვის უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი.

ობიექტური კრიტერიუმების არარსებობა და დახმარების გამოყოფის პერსონალურად გადაწყვეტის შესაძლებლობა, ხელს უწყობს მოსახლეობის არათანაბარ პირობებში ჩაყენებას. აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, სასურველია, მოხდეს კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს სოციალური დახმარების საჭიროების მიხედვით განაწილებას და ხელს შეუწყობს პროგრამის ხარვეზების ნაწილობრივ გამოსწორებას.

გაცემული დახმარებების დუბლირება

სხვა სოციალური ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული „მოქალაქეთათვის დახმარებების გაცემის შესახებ წესის“ თანახმად, მისი მოქმედება არ ვრცელდება იმ სახის განაცემებზე, რომელთა სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება ხორციელდება ქ. თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული სხვა პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ გამგეობას არ გააჩნია ელექტრონული ბაზა ან სხვა რაიმე მექანიზმი დახმარების გაცემისას გაორების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ განცხადების წარმომდგენს იმავე პერიოდში მიღებული ჰქონდა მსგავსი სახის დახმარება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამგორის გამგეობაში აღნიშნულ რისკზე საპასუხოდ არ ხდებოდა ბენეფიციარების გადამოწმება, ვინაიდან ისინი არ ფლობენ ერთიან ბაზებს, რითაც შესაძლებელი იქნებოდა დახმარების მიმღებ პირზე ინფორმაციის დროულად მოპოვება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2015 წლის 11 სექტემბერს მიმართა ქ. თბილისის მერიას, რომ მოეწოდებინა ინფორმაცია მერიის მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების ბენეფიციარების შესახებ. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ინფორმაცია აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში მერიას არ მოუწოდებია, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას დაცულია თუ არა ქ. თბილისის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის მოთხოვნები.

ბენეფიციარებზე გაცემული თანხების არასწორად გადანაწილება

„სხვა სოციალური ღონისძიების“ პროგრამით არ არის გაწერილი მოქალაქეების საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად გაცემული თანხების ზღვარის დადგენის კრიტერიუმები. კერძოდ, არ არის დასაბუთებული, მსგავსი პრობლემების მქონე ბენეფიციარებზე გაცემული განსხვავებული ოდენობის თანხების მართებულობა და ობიექტურობა. არსებობს რისკი, რომ არასწორად განისაზღვროს გასაცემი დახმარების მაქსიმალური მოცულობები და შესაბამისად, გამგეობამ ვერ უზრუნველყოს გამოყოფილი თანხების ოპტიმალური ხარჯვა:

➤ ყოველი კვარტლის ბოლოს, თანხის არარსებობის შემთხვევაში, შემოსულ განცხადებებს უკან უბრუნებენ მოსახლეობას. 2014 წელს და 2015 წლის 6 თვეში დახმარების გაცემაზე უარი ეთქვა 3872 ადამიანს, მათ შორის, 1730 პირს, კვარტალური ბიუჯეტის ამოწურვის გამო. ბიუჯეტის კვარტალური განწერით განსაზღვრული თანხების ამოწურვის მოტივით, შემწეობაზე უარის თქმა ატარებს სუბიექტურ ხასიათს, ვინაიდან რიგი ბენეფიციარები წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ იღებდნენ დახმარებას, ხოლო განმცხადებლების ნაწილი, თანხის ამოწურვის გამო, საერთოდ ვერ იღებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, კვარტალური განწერით განსაზღვრული თანხის ამოწურვის შემთხვევაში, განმცხადებელს სიტყვიერად განემარტება, შემდეგ კვარტალში განმეორებით მომართვის შესაძლებლობის შესახებ.

განცხადებების აღრიცხვა

სამგორის გამგეობა დახმარების მიღების მსურველთა განცხადებებს აღრიცხავს კანცელარიის მეშვეობით, რომელიც შემდგომ განსახილველად გადაეცემა გამგეობის სოციალურ სამსახურს. საკითხის შესწავლის შემდეგ გადაწყვეტილების მისაღებად, შესაბამისი დოკუმენტები წარედგინება გამგებელს.

სამგორის რაიონის გამგეობამ ვერ წარმოადგინა 2013 წლის ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- დახმარების გაწევის შესახებ შემოსული განცხადებების რაოდენობა;
- დაუკმაყოფილებელი განცხადებების რაოდენობა და უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების მიზეზები.

შედეგად, აუდიტის ჯგუფი ვერ აფასებს რამდენად ობიექტური და დასაბუთებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული გამგეობის მიერ თითოეული ბენეფიციარის მიმართ, დახმარებაზე უარის შემთხვევაში.

7. ავტომატური და საწვავის ხარჯი

2013-2014 წლებში და 2015 წლის პირველ ივლისამდე პერიოდში, სამგორის რაიონის გამგეობის განკარგულებაში იყო ქ. თბილისის მერიის მიერ სარგებლობის უფლებით გადმოცემული 12 ერთეული ავტომატქანა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „სამსახურებრივი ავტომატქანების გამოყენების წესის“²⁴ მიხედვით, გამგეობას 2013 წელს შეეძლო გამოეყენებინა - 3 ავტომატქანა, ხოლო საქართველოს მთავრობის დადგენილებით²⁵ მიღებული წესის მიხედვით, 2014 წელს - 3 ავტომატქანა, 2015 წელს - 4 ავტომატქანა. ფაქტობრივად, აუდიტის პერიოდში სამგორის გამგეობის მიერ არ არის გათვალისწინებული აღნიშნული რეკომენდაცია.

აღნიშნულ პერიოდში, გამგეობის მიერ ავტომატქანების ექსპლუატაციაზე გახარჯულია, სულ - 88.9 ათასი ლარის საწვავი²⁶. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საწვავის მოხმარების ლიმიტი (ზღვარი) დადგენილია ქ. თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. 2014 წლის ნოემბრამდე საწვავის მისაღებად გამოიყენებოდა ელექტრონული ბარათები, ხოლო შემდეგ პერიოდში ავტომატქანებზე დამონტაჟდა „აგაი სისტემა“, ანუ საწვავის მიღება ხორციელდება ჩიპებით.

²⁴ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულება.

²⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება.

²⁶ 2013 წელს - 31.3 ათასი ლარი, 2014 წელს - 39.4 ათასი ლარი, 2015 წლის 6 თვეში - 18.2 ათასი ლარი.

გახარჯული საწვავის მონაცემების შესწავლით გაირკვა, რომ ბარათებით მომსახურების პერიოდში, გამგეობის მიერ გამოყენებულია ლიმიტით განსაზღვრულის 89%, ხოლო ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ - 77%.

საწვავის ხარჯვის მონაცემები				
საწვავის განაწილების მეთოდი	პერიოდი	ლიმიტით განსაზღვრული (ლიტრი)	გახარჯული (ლიტრი)	მაჩვენებელი (%)
ელექტრონული ბარათები	01.03.2013-01.11.2014	72000	64682	89%
„აგაი სისტემა“ - ჩიპები	01.11.2014-01.07.2015	31150	24238	77%

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, გაცემული საწვავის აღრიცხვის სისტემის ცვლილების პარალელურად, საწვავის ათვისების მაჩვენებელი და შესაბამისად, ხარჯვა, მნიშვნელოვნად მცირდება.

8. ტელევიზორებისა და დიზაინერის მომსახურების შესყიდვა

2014 წლის 25 დეკემბერს შპს „ომეგასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გამგეობის მიერ შეძენილია 35 ცალი ტელევიზორი, საერთო ღირებულებით - 15.5 ათასი ლარი, ხოლო ტელევიზიის ექსპლუატაციისთვის 2015 წლის 8 მაისს შპს „სუპერ-ტვ“-ისგან შეძენილია ციფრული მაუწყებლობის ქსელის დამონტაჟება-მომსახურება, ღირებულებით - 4.9 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ სამგორის გამგეობის თანამშრომელთა რაოდენობა ხარჯის გაწევის პერიოდში შეადგენდა 67 ერთეულს. შესაბამისად, ერთი ტელევიზორი, ფაქტობრივად გათვალისწინებული იყო 2 თანამშრომელზე, რომლის შეძენის აუცილებლობა გამგეობის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული.

გარდა აღნიშნულისა, 2014-2015 წლებში გამგეობის შენობაში არსებული ოთახების მოსაწყობად, შეძენილია დიზაინერის მომსახურება, საერთო ღირებულებით 3.8 ათასი ლარი.

არსებული ფინანსური რესურსის განაწილების პროცესში ხარჯების დაგეგმვისას, გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა მიზანშეწონილია გაითვალისწინონ ის პრიორიტეტები, რომლებიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იქნება მიმართული.

9. აღრიცხავი აქტივები

✓ 2013 წლის 5 დეკემბერს სამგორის გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „საქინდუსტრიამ“ შეასრულა სპორტული მოედნების მოწყობა-რეკონსტრუქციის სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოების შესრულებისას მიმწოდებლის მიერ განხორციელდა 1176 კვ.მ რკინის კონსტრუქციებისა და მავთულბადის დემონტაჟი. გამგეობის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია აღნიშნული მასალის დასაწყობების ან სხვაგვარად განკარგვასთან დაკავშირებით.

✓ 2013-2014 წლებში სამგორის რაიონის ტერიტორიაზე გამგეობის დაკვეთით, შპს „სინათლის ქალაქის“ მიერ მოჭრილია 1869 და გადაბედილია 381 ძირი ხე. აღნიშნულ პერიოდში გამგეობის მიერ არ არის ნაწარმოები დოკუმენტური აღრიცხვა მოჭრილი ხეების

განკარგვის შესახებ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მოჭრილი ხეები, როგორც საშეშე მასალა, გადაეცა გამგეობის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რაზეც შესაბამისი დოკუმენტაცია არ შედგენილა.

10. საშტატო რიცხოვნობა და შრომის ანაზღაურება

2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, სამგორის გამგეობაში დასაქმებულთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 85 ერთეულით, მათ შორის, 18 შტატგარეშე მოსამსახურე. 2013-2014 წლებში და 2015 წლის 6 თვის პერიოდში გამგეობაში დასაქმებულ თანამშრომლებზე გაცემულია შრომის ანაზღაურება, სულ - 3072.8 ათასი ლარი, მათ შორის, ხელფასი - 2539.0 ათასი ლარი, პრემია - 470.2 ათასი ლარი, დანამატი - 63.6 ათასი ლარი.

სამგორის გამგეობაში დანამატის გაცემის საფუძველია ქალაქ თბილისის მერის ბრძანება. აღსანიშნავია, რომ მერის ბრძანება მოქმედი კანონმდებლობით²⁷ წარმოადგენს თანამდებობის პირის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ერთჯერადი გამოყენებისაა, ხოლო ბრძანება დანამატის შესახებ, თავისი შინაარსით არის დროებითი და მრავალჯერადი ხასიათის (მოქმედებს ყოველთვიურად, წლის განმავლობაში). „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის²⁸ მიხედვით, დაუშვებელია ინდივიდუალური შინაარსის სამართლებრივი აქტის ნორმატიული აქტის სახით მიღება (გამოცემა). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი დანამატის შესახებ გამოცემულიყო ყოველთვიურად ან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით, რომლის გამოცემის უფლებამოსილება, თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით გააჩნია მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის პერიოდში გამგეობაში დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეებზე შრომითი გასამრჯელოს სახით გაცემულია 464.0 ათასი ლარი, მათ შორის, პრემიის სახით 77.4 ათასი ლარი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის²⁹ თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. ფაქტობრივად კი, წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ მათი აყვანა ხდება მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, ექსპერტ-კონსულტანტის უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად. ამასთან, გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ მოსამსახურემ შრომით გასამრჯელოსთან ერთად შესაძლებელია დამატებით მიიღოს გასამრჯელო პრემიის სახით.

11. დოკუმენტაციის ბუღალტრულ მონაცემებში ასახვა-აკინძვა

საბიუჯეტო ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას აწარმოებენ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების შესაბამისად³⁰. ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ამსახველი პირველადი დოკუმენტების მიღების, შემოწმებისა და მემორიალურ ორდერებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ასახვის პარალელურად, ორგანიზაციამ ბუღალტრული აღრიცხვის შემდგომი პროცედურებიც უნდა

²⁷ საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁸ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი.

²⁹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

³⁰ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

აწარმოოს კანონმდებლობით განსაზღვრული ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით. კერძოდ:

თვის გასვლის შემდეგ, ყველა მემორიალური ორდერი შესაბამის დოკუმენტებთან ერთად ლაგდება და იკონდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ყდაზე დაეწერება: ორგანიზაციის სრული დასახელება, საანგარიშგებო პერიოდი (წელი და თვე), მემორიალური ორდერების საწყისი და საბოლოო ნომრები, ხოლო ორგანიზაციებში, სადაც მოქმედებს ელექტრონული საინფორმაციო სისტემები, აღნიშნული ინფორმაცია და დოკუმენტები ელექტრონული ფორმით აისახება და ინახება საინფორმაციო ბაზაში;

მემორიალური ორდერის ჩანაწერები თავს იყრის მაგროვებელ უწყისებში, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით;

მაგროვებელი უწყისებიდან მონაცემები გადაიტანება სინთეზური აღრიცხვის ძირითად რეგისტრში – „მთავარ წიგნში“, ანგარიშთა გეგმის შესაბამისად. „მთავარი წიგნი“ იხსნება ყოველი წლის დასაწყისში გასული წლის საბოლოო ნაშთების – საწყისი ნაშთების სახით გადმოტანით.

სამგორის გამგეობა თვის გასვლის შემდეგ არ ახდენს კანონმდებლობის შესაბამისად სააღრიცხვო დოკუმენტაციის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით სისტემატიზირებას. კერძოდ, ეკონომიკური მოვლენის ამსახველი დოკუმენტაცია საერთოდ არ იკონდება და შესაბამისი მემორიალური ორდერების გარეშე ლაგდება მონაცემების შინაარსისა და თარიღის მიხედვით. კანონმდებლობით განსაზღვრული წესი, თავის მხრივ, ამცირებს დოკუმენტაციის ჩანაცვლების ან დაკარგვის რისკს, რის პრევენციასაც სამგორის გამგეობის მიერ მონაცემების სისტემატიზირების მეთოდი შესაძლოა ვერ უზრუნველყოფდეს. გარდა ამისა, გამგეობაში არ აწარმოებენ მაგროვებელ უწყისებს, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველს და მისი მომზადების ვალდებულება ზემოთ მითითებული ბრძანებითაა განსაზღვრული.


აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:


ბადრი ჯანჯღავა



ხელმოწერა 04.05.2016 თარიღი

აუდიტორი:

თეა არველაძე



ხელმოწერა 04.05.2016 თარიღი

აუდიტორი:

ქრისტინე ეკალაძე



ხელმოწერა 04.05.2016 თარიღი

აუდიტორი:
ასმათ ლილუაშვილი

ა. წყნაშვილი

ხელმოწერა 04.05.2016 თარიღი

აუდიტორი:
პაატა კუბლაშვილი

პ. კუბლაშვილი

ხელმოწერა 04.05.2016 თარიღი